ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 417

"23" დეკემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი მე-IV-მიკრო/რაიონში მდებარე უძრავი ქონებიდან 157.55 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.002.061) ა(ა)იპ -„იასთვის" (ს/კ: 200160636) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, `ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, გლდანის მასივის მე-IV-მიკრორაიონში მდებარე უძრავი ქონებიდან 157.55 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.002.061) ა(ა)იპ - „იასთვის" (ს/კ: 200160636) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 30 ნოემბრის №46.10.966 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, მე-IV-მიკრო/რაიონში (საკადასტრო კოდი: №01.11.12.002.061), შენობა-ნაგებობა №1-ში, მეორე სართულზე არსებული 445.21 კვ.მ. ფართიდან 157.55 კვ.მ. ფართის ა(ა)იპ -„იასთვის" (ს/კ: 200160636) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

2. უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემის ვადა განსაზღვრულია 2 წლით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) .

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**